ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 46

"1" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-10 პუნქტისა და მე-2 მუხლის „ტ" პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეთანხმდეს „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №19.203.308 განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა ელექტრონული აუქციონის წესით და აღნიშნული უძრავი ქონების საწყის საიჯარო ღირებულებად განისაზღვროს ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები საფასური - 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე -1 (ერთი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე